მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 20 **1883-1892** **30 ოქტომბერს**

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით	5 მან.	12 თვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

უველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რამდენად გონივრული და წესიერია მეგრულს ენაზე ლიტერატურის შექმნა და თარგმნა საღმრთო ლიტურგიის და ლოცვებისა, რომლებიც ძველის დროიდგანვე სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე?

ამას წინეთ სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს ერთ კრებაზე, სხვათა შორის, წინადადება მისცეს განეხილათ და მოეწონებიათ მეგრულს ენაზე ნათარგმნი ლოცვები საღმრთო სჯულის სასწავლებლად. დეპუტატები ძლიერ გააკვირვა ასეთმა წინადადებამ და მათ ეს წინადადება სრულიად უყურადღებოდ დატოვეს და არ შეუდგენენ ამ საგნის განხილვას.

თუ კი სამეგრელოს სამღვდელოება, რომელსაც უფრო შეეხება სარწმუნოების და ეკლესიის საქმეები, წინააღმდეგია საღმრთო ლიტურგიის და ლოცვების მეგრულს ენაზე გადათარგმნისა და სრულებით საჭიროდ არ მიაჩნია ეს ახალი წეს-წყობილება, მაშ ვინ და რისთვის ითავა ღვთის-მსახურებისა ქართული ენიდგან მეგრულს ენაზე თარგმნა, როდესაც საბეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელოს ყველა ეკლესიებში ღვთის-მსახურება სრულდება დღემდე ქართულს ენაზე? გასაოცარი არ არის, რომ სამეგრელოს სამღვდელოებას საჭიროდ არ მიჩნია ღვთის-მსახურების მეგრულს ენაზე შესრულება და არც არავის სთხოვს ამ საქმეში მოთაობას?!

მაშ ვის სურს, რომ ღვთის-მსახურება და ლოცვები, რომლებიც ძველი დროიდგანვე სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე, დღეს შესრულებულ იქმნეს მეგრულს ენაზე?

ამ ახალი წეს-წყობილების მოთავე პირები სულ რამოდენიმე კაცია და ჩვენთვის დღესაც გაუგებარია, თუ რა აქვთ ამ კაცებს სახეში, როცა ასე თავგამოდებით ცდილობენ, რომ სამეგრელოს სახალხო სკოლებიდამ სრულებით გამოაძევონ ქართული ენის სწავლება და მის მაგიერ შემოიღონ მეგრული ენა, მაგრამ ეს ვაჟბატონები ამასაც ხომ არ კმაროობენ: ისინი ცდილობენ დაარსონ ნამდვილი ლიტერატურა მეგრულს ენაზე. და ამ მიზანს რომ მიაღწიონ, საჭიროდ მიაჩნიათ მეგრულს ენაზე შემოიღონ ღვთის-მსახურების შესრულება. ესევე ვაჟ-ბატონები ცდილობენ, რომ სამეგრელოს საერო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებაც მეგრულს ენაზე შემოიღონ. ეს დაუბატიჟებელი სტუმრები და **მოამხრენი მეგრელებისა** თავის ახალს წეს-წყობილებას ამართლებენ იმ ყველასათვის ცნობილი პედაგოგიური ჭეშმარიტებით, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველს ხალხში პირველ დაწყებითი სწავლა უსათუოდ უნდა სწარმოებდეს საშობლო ენაზე. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტიც, რომ იგივე ბატონები სხვა ადგილს და სხვა გარემოებაში სრულებით ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებას.

რომ პირუთნეველად გადავსწყვიტოთ ეს კითხვა, საჭიროა მივმართოთ თვით მეგრელებს და თვალი გადავაყოლოთ მათ ისტორიას და მაშინ შევიტყობთ, თუ რა ადგილი ეჭირა სამეგრელოში ძველის დროიდგანვე და ან დღესაც რა მნიშვნელობა აქვს მეგრელთათვის ქართულს ენას. მართალნი არიან თუ არა ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ თითქო მეგრელები ქართველთა ნათესავს არ ეკუთვნოდენ? მართალია თუ არა ზოგიერთების აზრი, ვითომ მეგრელთათვის დედა-ენა მეგრულია და არა ქართული ენა? მართალია თუ არა ზოგიერთების აზრი, ვითომ მეგრული ენა იყოს დამოუკიდებელი და არა სხვა ენისაგან წარმომდგარი? რა სარგებლობას ხედვენ, როცა ცდილობენ დაარსონ ლიტერატურა იმ ენაზე, რომელიც არ არსებობს და შეადგინონ ანბანი იმ ხალხისათვის, რომელსაც უხსოვარის დროიდგან უკვე აქვს ეს ამბანი? აი კითხვები, რომელთაც უნდა მიაქციონ ყურადღება მათ, რომელთათვისაც საინტერესოა სახელმწიფოს, სარწმუნოების და საზოგადო საქმეები.

შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებზე ძველის დროიდგანვე ცხოვრებენ მეგრელები—მცირე ნაწილი ქართველთა ერის ნათესავისა. მეგრელთა მთელი რიცხვი ადის 200 ათას სულამდე. ამ ერს უჭერია მხოლოდ ორი მაზრა ქუთაისის გუბერნიისა.

დასაწყისშივე, როცა კი სამეგრელოში გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება, და სახელდობ მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის დროიდგანვე, ღვთის-მსახურება და სარწმუნოება სწარმოებდა და ვრცელდებოდა ქართულს ენაზე. სამეგრელოს ყველა ქათალიკოსები, მღვდელ-მთავრები, რომელნიც ჭყონდიდლებად იწოდებოდნენ და მღვდლები მსახურებდნენ და ჰქადაგებდნენ ქართულს ენაზე. ამ სახით ქართულს ენას ისეთივე ადგილი უჭირავს, სამეგრელოში, როგორც სლავიანურს ენას—რუსეთში. ეს ენა ისე უყვარდათ და დღესაც უყვარსთ მეგრელებს, რომ იგი მიაჩნიათ თავის საშობლო ენად. სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ ვერავითარმა ისტორიულმა უბედურებამ და შევიწროებამ, როგორც მაგალითად: მტერთა თავდასხმამ, რომელსაც თან მოსდევდა აოხრება და განადგურება ქვეყნისა, ეკლესიების და მონასტრების დანგრევამ, საღმრთო წიგნების და წერილობის ნაშთთა განადგურებამ, ვერ შესძლეს ქართულის ენის მოსპობა სამეგრელოში, როგორც ღვთის-მსახურების, სამლოცველო და სახელმწიფო ენისა. ყველა გუჯრები და ისტორიული წერილობითი საბუთები და ყოველ გვარი მიწერ-მოწერა ერთმანეთ შორის სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს სამეგრელოში ქართულს ენაზე. მაშ დღეს, ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს რაღა საჭიროება არის ისეთი, რომ სურთ ქართული ენა გააძევონ არა თუ მარტო სკოლებიდგან, არამედ ეკლესიებიდგან და მონასტრებიდგანაც და მის მაგიერ სურთ შემოიღონ მეგრული, რომელიც სრულებით შემუშავებული არ არის და არც კერძო და დამოუკიდებელი ენაა და ამ ენაზედ არას დროს არ სწარმოებდა ღვთის-მსახურება ეკლესიებში და არც სკოლებში ასწავლიდნენ მას. ძლიერ უკვირდებით ამ საქმეს, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია ნამდვილი საბუთიანი პასუხის მიცემა ამ საგნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ცხადათ წარმოვიდგინოთ ამ ახალი წესწყობილების უვარგისობა და უმნიშვნელობა, საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მეგრულ ენას ქართულ ენასთან. მეგრული ენა სრულებით ისე არ განირჩევა ქართული ენისაგან, როგორც, მაგალითად, სვანური, აფხაზური, ჩეჩნური და სომხური ენები. მეგრული ენა იგივე ქართული ენაა, მხოლოდ ცოტა შეცვლილი და, უკეთ რომ ვსთქვათ, გადასხვაფერებული. ვინ არ იცის, რომ მეგრელების უმეტესი ნაწილი ქართულად ლაპარაკობს, და არც დიდი ხანი გავა იმ დროამდე, როცა სამეგრელოში ერთი მეგრელიც არ იქმნება, რომელსაც ქართულ ენაზე არ შეეძლება ლაპარაკი. ეს მართლაც ასე მოხდება, რადგან მეგრელები თავის სამშობლო ენად სთვლიან ქართულს ენას და ამ ენის საჭიროება იმ ზომამდე აქვსთ შეგნებული, რომ სასირცხოდ მიაჩნიათ, როცა ქართულად არ შეუძლიათ ლაპარაკი. მეორედ მეგრელთათვის ქართული ენის შესწავლა დიდ შრომას არ შეადგენს. მეგრელისათვის საჭიროა ერთი-ორი კვირა მოათვინოს ქართველის ოჯახში, ანუ საზოგადოებაში, რომ სრულიად შეისწავლოს ქართული ენა. მეგრული ენა სავსეა ქართულ სიტყვებით. ქართველს, რომელმაც ერთი სიტყვა არ იცის მეგრულად, შეუძლია საფუძვლიანად გაიგოს, თუ რას ლაპარაკობს ერთმანეთში ორი მეგრელი, თუ ყური მიუგდო მათ ბაასს, რადგან მეგრულ სიტყვებთან ერთად ესმის მრავალი ქართული სიტყვებიც. ეის შეუძლია შეისწავლოს რომელიმე უცხო ენა ორ-სამ კვირაში. რას გვიმტკიცებს ყოველივე ეს? იმას, რომ მეგრული ენა ერთ ხორცი და სისხლი ენაა და თუ იგი ქართულ ენას უთმობდა და უთმობს ალაგს, ეს იმიტომ, რომ მეგრულ ენას დედა-ენის ნიადაგი საშეგრელოში არასოდეს არ ქონდა სარწმუნოების, ლიტერატურის, სახელმწიფოის და ხალხის განათლების საქმეში და არც ამის შემდეგ ექნება. *)

დეკ. დ. ლამბაშიძე.

(დასასრული შემდეგში).

*) ამ საგნის შესახებ დავბეჭდეთ ჩვენ ორი წერილი «მწყემსში» რუსულ ენაზედ. როგორც სჩანს, საზოგადოებას ეს წერილები ძლიერ სასიამოვნოდ დარჩენია. ჩვენ მრავალ პირთაგან მივიღეთ გულითადი თანაგრძნობის და მადლობის წერილები და გვთხოვენ, განსაკუთრებით სამეგრელოდამ, რომ ეს სტატიები ქართულადაც იქნეს დაბეჭდილი, რომ რუსულის არა მცოდნე პირებმაც შეიძლონ ამ წერილების წაკითხვა. თუმცა ჩვენ ამ საგნის შესახებ 1889 წელშიაც ვსწერდით, მაგრამ არა იმ რედაქციით, როგორც ეს რუსულად იყო დაბეჭდილი. ვინაიდგან ამ საგნის შესახებ წერა არასოდეს მეტი არ იქნება, ამისათვის სიაძოვნებით ვასრულებთ ზოგიერთების თხოვნას და ამ წერილებს გბეჭდავთ ქართულადაც.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის შეკრებისათვის საჭირო ნაბეჭდი და ხელთ-ნაწერი მასალის ნუსხა.

(დასასრული *)

წინა წერილში ჩვენ დავპირდით მკითხველებს ნუსხას იმ ხელთ-ნაწერი და ნაბეჭდი მასალისას, რომელიც საჭიროა გადათვალიერდეს ტერმინების შეკრებისათვის. ჩვენ ამ ნუსხაში არ მოგვიქცევია თითქმის არც ერთი (რამოდენიმეს გარდა) ის მასალა, რომელითაც უხელმძღვანელებია ბ. ჩუბინაშვილს ქართულ-რუსულ ლექსიკონის შედგენის დროს და რომელიც აჯ წიგნის დასაწყისში აქვს მასვე ანუსხული.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საღმრთო და საეკლესიო წიგნებს, რადგანაც ძათში წმინდად და შეუცვლელად არის დაცული ქართული ენა. ასეთ წიგნებს ეკუთვნიან შემდეგნი:

1) დიდი კურთხევანი, რომელშიდაც		ღლგ	კაბადინია.
2) პარაკლიტონი .	»	ფღგ	»
3) ქამნი . . .	»	ქკვ	»
4) ლოცვანი დიდი	»	სლმ	»
5) მარხვანი . .	»	ქმჰ	»
6) ზადიკი . . .	»	ფდ	»
7) სადღესასწაულო სრული	»	ჩტმჰ	»
8) მეტაფრასი	ხუც. ხელთ-ნაწ. (გელათშია დაცული).		
9) გულანი			

ამათ გარდა უნდა იქმნეს გარდახედული:

გრდემლი ბესარიონ კათალიკოზისა.

თავ. იოან. გრიგ. გრუზინსკისეულ წიგნებში, რომელნიც ეხლა პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავს ეკუთვნიან, საყურადღებოა შემდეგი ხელთ ნაწერი მასალა:

რუსულ-ქართული ლექსიკონი 6 ნაწილად იოანნე ბატონიშვილისა.

თორმეტიოდე კარაბადინი, ზოგი ნამდვილი ქართული, ზოგიც ნათარგმნია ბერძნულიდამ, ლათინურიდამ და არაბულიდამ.

ეესსე ჩუბინოვის გრამმატიკა დაბეჭდილი.

პეტერბურგშივე საძეცნიერო აკადემიაში არის:

ქართული წელთ-აღრიცხვა არითმეტიკულის და მათემატიკურის ცნობებით მერვე საუკუნეში შე-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 15—16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილი ერთი ეპისკოპოსისაგან და ბროსსეს მიერ გამოცემულია 1845 წელს.

გაიოზის გრამმატიკა, კრემენჩუნგში დაბეჭდილი.

დავით ბატონიშვილის გრამმატიკა.

იოანნე ქართველოვის ქართული გრამმატიკა.

გოდერძი ფირალოვის გრამმატიკა და ლექსიკონი.

სოლომონ დოდაევის გრამმატიკა დაბეჭდილი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ საცავში შემდეგი მასალაა ფრიად საყურადღებო:

ანტონ I, საქართველოს კათალიკოსის: ა) ფილოსოფია, დაწერილი 1757 წ.; ბ) კატიგორია; გ) კატიგორია სამეტნე, გადაწერილი 1769 წ. და მეორეც 1797 წწ.; დ) ზედ დადგინებანი მეტაფიზიკისანი; ე) ლოდიკა, გადაწერილი დავით რექტორისაგან 1797 წ.; ზ) ზედ-დადგინებანი მეტაფიზიკისანი, ონტოლოდია; ჱ) მზამეტყველება; თ) წყობილსიტყვაობა (უკანასკნელი ორი წიგნი დაბეჭდილია და ჩუბინაშვილსაც აქვს მოხსენებული ნუსხაში); ი) ფიზიკა; ია) რიტორიკა მიხითარისა და რიტორიკა 1764 წწ.

არისტოტელის ა) განსჯანი, თარგმნილი თეიმურაზის მიერ 1818 წ.; ბ) კატიდორია.

დავით, ძე გიორგი მეფისა, შემოკლებული კატიდორია.

გაიოზ არხიდიაკონი, კიტაიის სიბრძნე, თარგმნილი რუსულით.

დიოდოხოსი პროკლე, კეგშარი, გადაწერილი დავით რექტორისაგან 1809 წ.

დიალექტიკა მხედრული ხელთნაწერი და ხუცური დიალექტიკა ანუ გრამმატიკა.

ვახტანგ მეფე VI, სამართლის წიგნი.

იოანნე ოს-ყოფილი, მეტაფიზიკა და ლოღიკა დაწერილი 1796 წ.

იოაკიმე, ახტალელ მიტროპოლიტი, თეატრონ, პოლიტიკა.

იოანნე დამასკელი, კატიღორია.

ლოღიკა ანუ განმარტება ფილოსოფიისა.

ლოღიკა სათეორეტიკო.

პორფირი, შეყვანილება (მხედრ. და ხუცური ხელთ ნაწერები) ამას შეეხებიან: დავით სიბრძნის მოყვარე, ახსნა პორფირის შეყვანილებისადმი ორნაირი ხელთ-ნაწერი; 2) დოსითეოს არქიეპისკოპოსის პორფირის ახსნა.

ეკატირინე დიდისა ნაკაზი.

ზედ დადგინებანი მეტაფიზიკისანი, აღწერ. არხიდიაკვანის იოსტოსისაგან.

ზნეობრივი სენტენციები, თქმული ბრძენთაგან.

დავით ბატონიშვილი, მონტესკიე, გულის-ხმის ყოფისათვის სჯულთასა სამ წიგნად.

პეტრე დიდის რეღლამენტი ანუ კანონისტება, რუსულით.

საფილოსოფოსო წიგნი.

სოკრატი და არისტოტელი, სიტყვის გება და მეორეც: სოკრატი, სიტყვის გება.

ფილოსოფიის განსჯა.

ჩუგუნაშვილი გიორგი, ენციკლოპედია ფიზიკითურთ, რუსულით. 1823 წ.

ცნობა თავისა და გვამისა.

გალობის წიგნი ხუცური და მხედრული.

ჭირჭიმელი იოანნე ფილოსოფოსი, კლემაქსი.

ალექსიძე-მესხიშვილი დავით, ჰაერს-შორის მოკველი.

ალექსიძე მესხიშვილი იერონიმე, მოკლე მწყემსებრივი სწავლა აკრისათვის წინადასაცველის ძოხის ყეავილისა, რუსულით.

ბაგრატ ბატონიშვილი, ცხენთა სამკურნალო, თარგმანი 1807 წ.

ბაზნიძე იოანნე, სახალხო ლექსიკონი საკვირველთა თვისებათა და ბუნებათა ცხოველთასა, თარგმანი რუსულით.

შემოკლებული ფიზიკა.

გილიაროვი პეტრე, დასაბამითნი საფუძველნი მცნობელობითის ფიზიკისა (დაბეჭდილია).

დავით ბაგრატიონი, კარაბადინი, ლათინურ-რუსული.

ვახტანგ VI, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, სპარსულიდამ. მისივე: X) ქმნულების ცნობა სპარსულით.

ვახტანგ ბატონიშვილის კარაბადინი ცხენთა.

კარაბადინები ცხენთა და ფრინველთა, სხვა და სხვა ნაირი ხელ-ნაწერები.

მცირე რამ გამოკრებილი ანგარიშის ცოდნისათვის, მეფე ვახტანგის მიერ შესწორებულია.

სამკურნალო წამალი პირუტყვთათვის.

ფეიერვერკი ანუ ცეცხლის სათამაშო შუშხუნანი, ბაგრატ ბატონიშვილისაგან გადაწერილი.

არჩილ II მეფე ხნოროგრაფი.

განრჩევისათვის კაცთა სახისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფია (ორი ხელთ-ნაწერი).
მილოტი აბბოტ მოფლიო ისტორია.
მიმოსვლელობანი ტელემაქოსისნი.
პლუტარხოსი, ისტორია.
საზოგადო ისტორია, მოყვანებული ვიდრე 1815 წ. (რამოდენიმე ნაირია).
სამგზავრო გეოგრაფია.
სახსოვარი ძნიად საპოვართა ნივთთა.
თეიმურაზ I, მეფის ხრონოლრაფი და სხვა-დასხვა თხზულებანი.
იოანნე ბატონიშვილი კალმასობა 2 ნაწილ. (დაბეჭდილია).
მეტოლოლია ანუ ძველი ზღაპარ-სიტყვაობა (ორნაირი).
მილტონი, დაკარგული სამოთხე.
საჭერ მეთქო წიგნი.
ჰომიროსი, ილიადა, თარგმანი იასე გარსევანაშვილისა.
ბაგრატიონი, დავით, გრამმატიკა.
გრამმატიკა ქართული გადაწ. ალექსანდრე ჩიქოანისაგან.
X) მე-IX-X საუკუნის «სამეცნიერო ქრისტომატია» (შატბერდის კრებული).
ლექსიკონი ხუცური, ქართული (მხედრული) და ლექსიკონი რუსულ-ქართული.
პაულონი, ქართულ-იტალიანური ლექსიკონი.
როტინოვი ივ. შემოკლებული ქართულ-ფრანგ. ლექსიკონი.
შანშოვანი ზ. მოკლე ქართული გრამატიკა. (უკანასკნ. გრამ. დაბეჭდილია).

გადათვალიერებულ უნდა იქმნეს აგრეთვე საერთოდ ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემანი ქართულს ენაზედ:

თბილისის უწყებანი (1830 წლიდამ სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა).
ცისკარი 1852—75 წლამდე.
სასოფლო გაზეთი 1869—1880-მდე.
კრებული 1870—73-მდე.
გუთნის დედა 1871 წლიდამ.
დროება 1866—1885-მდე.
იმედი 1881—83 მდე.
შრომა 1881—83-მდე
მნათობი 1869—72-მდე.
ნობათი 1882—85-მდე.
თეატრი 1885—89-მდე.
საქართველოს მოამბე 1863 წ.
საქართველოს სასულიერო მახარებელი 1864—68.
ივერია 1877 წლიდამ დღემდე.
მწყემსი 1883 წლიდამ დღემდე.
მეურნე 1888 » »
ჯეჯილი 1890 » »

ეს ნუსხა საკმაოდ ვრცელი არ არის და ბევრიც დარჩა ალბად ისეთი მასალა, რომელიც აქ არ არის მოხსენებული. გარდა ამისა, სამწუხაროდ, ვერ ვიშოვნეთ ბ. დ. ჩუბინაშვილის წიგნთ-საცავის ნუსხა, რის გამოისობითაც არაფერი არ მოგვყავს იქიდამ. ამასთანავე წერა-კით გამ. საზოგ. წიგნთ-საცავის მასალა ანუსხულია 1887 წელს გამოსული მოკლე კატალოგის მიხედვით, რის გამოისობითაც ბევრი გამოგვრჩებოდა აქაც. მაგრამ ჯერ-ჯერაობით სამუშაოდ ეს მასალაც კმარა და შემდეგში იმედია, გამოჩნდებიან ისეთი პირნი, რომელნიც გვაცნობებენ ან ბეჭდური სიტყვით, ან ისე როგორმე, სხვა მასალასაც, რომელიც ყურადღების მისაქცევი უნდა იყოს. ვრცელი კატალოგის უმექონელობისა გამო ძნელი ასანუსხავია ყოველი ღირს-შესანიშნი მასალა და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მიზნის თანამგრძნობნი გვაცნობებენ და გვაუწყებენ ყოველივეს, რაც კი დაეხმარება ან საქმით ან რჩევით ან შინაარსით ჩვენ სასწრაფელ საგანს.

შეიძლება ვინმეს ამ კითხვის შესახებ მეტი გამოცდილება ჰქონდეს მიღებული, ან მასალა რაიმე ჰქონდეს შეკრებილი ან როგორმე სხვა ხერივ შეეძლოს როგორმე დახმარება—ვთხოვთ ყველას ჟურნალის საშუალებით საყოველთაოდ (ან და კერძოდ) გვაუწყონ თავისი აზრი, შეხედულება, რჩევა ანუ სურვილი.

უმჯობესი იქნება, ბარემ დროით შევუდგეთ საქმეს და გავინაწილოთ შრომა. ვთხოვთ ყველას, ვისაც კი დახმარება სურს, გვაცნობონ, თუ რომელ მასალას მოჰკიდებენ ხელს, რომ რამდენიმე პირს ერთი და იგივე საშრომელი არ შეხვდესთ. ყოველივე მიწერ-მოწერა ამ საგნის შესახებ გამოჰგზავნონ მსურველებმა შემდეგი ადრესით: ქ. მოსკოვს. Poste restante. (ფოსტაში დარჩენით) სტუდენტს **ვლადიმერ—ვახტანგ ლამბაშიძეს** *).

---

*) უმთავრესი მასალა ქ. თბილისშია წ. კით. გამ. საზ. წიგნთ-საცავში, თბილისს გარეშე მცხოვრებთათვის ყოვლად შეუძლებელია ამ მასალის გადათვალიერება. ამ მხრივ სასულიერო სემინარიის მოწაფეები უმჯობეს პირობებში არიან. გარდა ამისა ეს ერთად ერთი სასწავლებელია, სადაც ქართული ენა სხვა მოწაფეებზე უკეთესად იციან და, თუ მუყაითობაც არ დაიშურნეს, მაშინ ხომ შეუძლიანთ კარგად შასრულონ ყოველივე მუშაობა ტერმინების შეგროვებისათვის. იმედია, არ გაგვიცრუებენ იმედებს, გამოიჩენენ ჩვეულებრივ გულშემატკივრობას საკუთარი ნიადაგის შესახებ, რითაც დაუფასებელ შრომას დასდებენ ამ საქმეს.

ვ. ლ.

მწარე წერილი.

როდესაც დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა, რასაკვირველია, უველას საწყენად დაურჩა ამისთანა მოდვაწე შვილის დაკარგვა, უველა ქართველმა იგლოვა განსვენებული ჯ ბოლოს ღმერთს შეავედრა განსვენებულის სული ჯ ამით დაასრულა გლოვა. ერთი მხოლოდ «ივერია» მოჰკვა იმერულ ტირილ-გოდებას და ვაებით მოთქვამდა: „დავიდუშენით, ბოლო მოგვედო, დიმიტრი ადარ გვყავს! რაღა ვქნათ! სად წავიდეთ, ვილას მივმართოთ, მოგვესწო მთლად მეისტორიე, არქეოლოგი, ისტორიის ჭეშმარიტი მკვლევარი, დავიმხვეთ და დავიქეცით! რადად გვინდა «მუზეუმები» და სხვა, და სხვა-და-სხვა... იმედ დაკარგულს «ივერიას» მაშინვე დაუწყეთ ჩვენ ნუგეშობა და უპასუხეთ, რომ მისი გოდება უბრალო სასოწარკვეთილების ნიშანი იყო, მისი მოთქმა-მსჯელობა შემცდარი აზრი იყო. ჩვენ პირ-და-პირ გამოვსთქვით მაშინ, რომ საქართველოს ჰყავს კიდევ რამდენიმე შვილი, რომელნიც დ. ბაქრაძისოდენი დრო თუ ემსახურენ მამულს, ბევრად წინ წაასწრებენ განსვენებულს ჯ ობლად და ოხრად არ დაგვტოვებენ-თქო. დავასახელეთ კიდეც ბ. ბ. ხახანაშვილი, გ. წერეთელი ჯ სხ. ბაგრამ, ჯი საკვირველებავ, ეს სიტყვები სხვებ ჩამოგვართვეს და არ ირწმუნეს... დღეს, მადლობა ღმერთს, «ივერიას» გაუმტყუნდა თავისი აზრი. ისეთი კაცი უნახავს, რომ მასთან შედარებით დიმიტრი ბაქრაძე კიტრათ არა ღირს. მოგვაყავს «ივერიის» სიტყვები:

ჩვენ შემოხვეკა გვქონდა გადაგვეთვალიერებინა ს. ჯორჯეტაური ფურცლები იმ წიგნისა, რომელიც ზეგემ იბეჭდება, აგერ ნახევარ წელიწადია, დიდის ტაატით და ზოზინით, და უნდა გსთქვათ, რომ ეს წიგნი ნამდვილი განძი იქნება ჩვენს სამეცნიერო საისტორიო მწერლობაში, დიდი შესამატი და დიდი წუურგილის მოგვლელი იმათთვის, კისაც შეჰყვარებია კვლევა და ძიება წარსულის ცხოვრებისა და ვისაც-ბულითა და სულით უნდა მტირეოდნად მაინც გაიოგალისწინოს ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენთა წინაპართა ავ-კარგიანი და ტოდო-მადლიანი მოღვაწეობა, საქმენი მათნი, თუ სიგმირონი და თუ საუგონი. ეს ბირველი წიგნი შეიცავს სხვა-და-სხვაგვარს მრავალს საარხეოლოგიო და საისტორიო მასალას, დაწყობილს ქრონოლოგიურად. ამას გარდა, ავტორს აღმოუჩენია, უბოვნია გამუდმებულის ძებნითა და ზრუნვა-მეცადინეობით მრავალი სხვა საისტორიო მასალაც, ჯერ არსად არ დაბეჭდილი, დღემდე გამოუქვეყნებელი, ჩვენთა ძველთა და ახალთა მეისტორეთ მკვლევართაგან შეუნიშვნელ-დავიწყებული.*) ამ ძასალათა შორის ავტორი ასახელებს 12-მდე ქრონიკას, 3000-ე სიგელ-გუჯარს, სიებს კათალიკოზთა და მეფეთა ზედმიწევნილის და დაჭეშმარიტებულის ქრონოლოგიით და სხვა-და-სხვა. ოგელიეგ ეს დიდი საუნჯე, ეს ფასს-დაუდებელი საღარო მოუბოვებია კაცს, და არა თუ მოუბოვებია, გაუსინჯავს კიდეც, გადუკითხავს, შეუსწავლია, გაუმარტნია. 12 წლის განმავლობაში კაცი გამოსთხოვებია თითქმის ოგელს გართობას ამ წუთი-სოფლის საამეთა, ჩამჯდარა მტკრიან, დაბებულ და დახავსებულ ხელნაწერთა და ეტრატებ შორის; დიდის გულმოდგინებით, დიდის სიყვარულით და შემგვლელობით გადუბერტყია საუკუნოებით მათზედ ჩამჯდარი მტკერი, ალერსით უფურცლავს გაშაგებული, შმორიანი კაბადონები ეტრატებისა, მოუკრეფია თითო ნაჭრებით თაგვებისაგან შეჭმულ-გამოხრილი, ნახეკრობით დაფლეთილ-დაკონგილი სიგელ-გუჯრები და ახლა ჩვენ მოგვმართავს და გვეუბნება: თქვენთა წარსულ დროთა ამბავი, თქვენთა მამა-პაპათა თავ-გადასავალი, წარსულთა დროთა სიბნელის გამანათლებელი ლამპარი მე მაქვს ხელშიო. მე კიუაგ სიბნელით მოცულს წარსულის გამოძიებაში, იქ ვბოგვეშზე, იქ აღმოვაჩინე სიცოცხლე, რომელიც სჩქეფს დაუშრეტელ წყაროსავით, და ახლა, ესოდენის ჩემის ღვწლის შემდეგ, მოდით და დაეწაფეთ ამ წყაროს, მოდით და უცქირეთ ამ ნათელს, ამ გაშუქებულს სიბნელეს თქვენის მამა-პაპათა ცხოვრებისასა. ხოლო ოგელ ამ საგეთეს ისე ვერ იხილავთ, ოგელს ამ თქვენთვის ძვირფასს და ფას-დაუდებელს საუნჯეს

*) ვაი სირცხვილო! დ. ბ—ძეს ვერ შეუნიშნავს, არ ცოდნია, ვერ გაუგია, ვერ აუხსნია, ვერ შეუტყვია. საწყალს ეთხოვა მაინც ამ შესანიშნავი არხეოლოგისათვის აეხსნა, განმარტებინა მისთვის მისგან გაუგებელი!....

ხელში ისე ვერ ჩაიგდებთ, თუ ორ-ორი მანეთი და თუმანი არ გამოიღეთ და არ მოგეცით დონისძიება, გამოვიტანო ეგ განძეულობა საქვეყნოდ; თუ შეძლება არ მოგეცით, რომ დაბეჭდო სტამბაში აქამდე მკვდარნი, ბრძილ-შეკრულნი და უტყვნი მოწმენი ჩვენთა წინაპართა მოღვაწეობისა, განვაცხადო, განვასჯეტკო, მოგერთო-მოგვაზმო და ავალაპარაკო სადიდებელად ჩვენის ქვეყნისა და გასაოცრად განათლებულის ეკრობისაო.

ღმერთო! რაცა ასეა საქმე (და რომ ასეა, ეს უნდა გეცოდინოდა აქამდინაც), ავტორისაგან ხელის გამოწდომა და ხვეწნა-მუდარა-და უნდა იყოს საჭირო ჩვენთვის?! განა იქამდე უნდა მიგიყვანოთ ჩვენ თვის ღვაწლ-მოსილა, ტვირთ-ურვილი კაცი, რომ თვითვე იყოს იძულებული მოგვაგონოს ჩვენი მოვალეობა და, გლახაკივით, თითქოს მოწყალებას ითხოვსო, ხელს გვიწვდიდეს, ალმოიჩინეთ დახმარება, მე საკუთრად არ შემიძლიან ამოდენა ხარჯი გავსწიო და გამოვაქვეყნო თქვენთვის დიდად სარგო ჩემი ნაშრომ-ნაღვაწიო?! ეგ დახმარება მხოლოდ იმიტომ მინდა, რომ ხარჯი გავისტუმრო სტამბისა, და, თუ დაშრჩა რამ, პირობას გაძლევთ, (ვის, სად?) იმას ჩემი დავუმატო (რომ ამბობს არაფერი არ მაქვსო, რას დაუმატებს?) და ახლა სხვები დაბეჭდო და გაგასარეთ, გასიამოვნოთ. («ივერია» № 218).

ჩვენი მხილება, «ივერი»-ისადმი მიმართული, მართალი იყო თუ არა? ყვირილიდამ მივხვდით ჩვენ, რომ გვუავდა რამდენიმე პირი, რომელნიც დიმიტრი ბაქრაძისოდენობას გაგვიწევდენ საბოლოოდ. «ივერიას» კი ყურს უკან დგომია კაცი ისტორიკოსი, არხეოლოგი, ლინგვისტი და რაც გინდათ, ისეთი კაცი, რომ მის ხამლთა გახსნის ლირსიც არ ყოფილა განსვენებული ბ—ძე. წარმოიდგინეთ, ბაქრაძეს არაფერი არ შეუნიშნავს და არაფერი არ სცოდნია, ამ კაცს კი ყველაფერი გაუგია და შეუტყვია ჩვენი წარსული დროისა თარგამოსიდგან დაწყებული დღემდე. ეხლა ეს კაცი გვეუბნება: ფულები მომეცით და თქვენს წარსულ დროს მზესავით ავალაპლაპებ თქვენ თვალის წინ, ცხადად და აშკარად ლაგანახვებთ თქვენი წინაპრების თავგადასავალს, მე გიჩვენებთ თამარის საფლავს, მე დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ ჩვენში კეისრობა ყოფილა, რომელი მეფის, რომელი წმიდანის ძვლები სად აწყვია, ყველას მიგითითებთო და რას არ გვპირდება, ვინ მოსთვლის. არ იკითხავთ, ვინ არის ეს კაცი? ეს კაცი თბილისის სემინარიაში ქართული ენის მასწავლებელი ბ. თ. ქორდანიაა, რომელიც სიონთან დაარსებული საეკლესიო მუზეუმის გამგე კომიტეტში წევრად ირიცხება ჯ რომელიც ყველასგან ცნობილ დეკ. კალისტოვთან ერთად შრომობდა იქ ძველი ნაშთების და გუჯრების შეკრების საქმეში.

ღმერთმა ჭქნას, რომ ყოველივე ის, რასაც «ივერია» გვპირდება, აღსრულებულიყოს! ღმერთმან ინებოს, რომ ყველა დაპირება ბ. ქორდანიასი სისრულეში მოსულიყოს. მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს. ამდენი ხანი ეს კაცი რად იყო გაჩუმებული და რად ჭქონდა აქნობამდისინ დამალული თავისი საუნჯე და ბაქრაძის დროსვე არ გამოაშკარავა ჩვენი წარსული თავგადასავალი ისტორიული გამოკვლევანი? თუ იგი ფულს არ თხოვილობდა ამ ცნობებისათვის, რატომ ბეჭვდითი სიტყვას არ გადასცა ეს ისტორიული განძი დასაბეჭდად? რატომ არ აცხადებს ეს პატიოსანი მოდვაწე, სად იპოვა, ვის გამოართვა, ვისგან და როგორი გზით შეიძინა ეს ძვირფასი გუჯრები და ისტორიული გამოკვლევანი? «ივერია» აცხადებს, რომ ბ. ქორდანიას ფულები არ უნდა, ის მზად არის ეხლავე დაუთმოს ეს განძი საზოგადოებასაო, მაგრამ ფულები არ აქვს დასაბეჭდიო. ვაცხადებთ საზოგადოდ, რომ ჩვენ ვიკისრებთ ამ შესანიშნავი ნაშთების ჩვენის ხარჯით დაბეჭდვას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, თუმცა ამ საზოგადოებისაგან დანიშნული კომიტეტის წევრების შემოწმებით მართლა ამისთანა შესანიშნავი აღმოჩნდება ჩვენი ისტორიისათვის ბ. ქორდანიასაგან ნახული თვალ-მარგალიტნი. რატომ კომიტეტი არ არის ამ საქმის შესახებ დანიშნული, რომ ვინიცობაა ბ. ქორდანია გარდაიცვალოს წიგნის დაბეჭვდამდე, ფულის გამომდებთა დაკმაყოფილება მიიღონ ჯ მოტყუებულნი არ დარჩნენ? ვინ არის თავსმდები წიგნის დასრულებისა?

ეს შემთხვევა ერთი ექიმის მოქმედებას მოგვაგონებს. ერთმა ექიმმა გამოაცხადა: წიგნს ვადგენ, რომელშიაც მომყავს უებარი დარიგება, რომ-

ლის ასრულების შემდეგ არავინ არ დათვრებაო. ვინც ამ წიგნისთვის ფულს გამოგზავნის, მათ დაბეჭდვისათანავე გაუგზავნიო. ვისაც წინდაწინ ფული არ ექნება შემოტანილი, ის წიგნს ვერ მიიღებსო. ლოთებმა მიაშურეს და იყიდეს წინდა წინ იმ აზრით, რომ ნიადაგ ესვათ და არ დამთვრალიყვნენ. მოუთმენელად ელოდნენ წიგნის გამოცემას და მიღებას. მიიღეს და გასაოცრად ეი როგორი დარიგება წაიკითხეს: «ვისაც გინდათ, რომ არ დაითროთ, დასათრობ სასმელებს ნუ დალევთ და არასოდეს არ დაითვრებით!.. იმ ექიმმა კარგა ძალი ფული შეკრიბა. წიგნის მყიდველებმა ბევრი წყევლა-კრულვა შეუთვალეს მას, მაგრამ რა გამოუიდოდათ...

ხელის გამართვა, შემწეობა ყველა საზოგადო საქმეში ძლიერ სასიამოვნო და კარგი რამ არის. მაგრამ საზოგადო საქმე ჯერეთ უნდა დადგეს საზოგადო საფუძველზედ და მაშინ, რაც გენებოსთ, ის სთქვით. ბატ. საბ—მა გამოაცხადა ამას წინედ კიდევ, რომ ვინც საქართველოს სამოთხეს იყიდის 17 მანეთად, მე ხელწერილს მივსცემ, რომ უფასოდ მიიღოს მეორე ნაწილი ამ წიგნისა და მშვენიერად შედეგენილი საქართველოს საეკლესიო ისტორია. გაბრიყვდენ ბევრნი და მისცეს ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი მან. მეორე ნაწილი არავის დღემდის არ მიუღია და ვერც არავინ მიიღებს. ეხლა გამომდგარა და იძახის: მე რუსის პატრიოტი ვარ და ქართველებს „ვერიელი“-ს წოდებით ვათათბირებდიო!..

ჩვენ ბ. ქორდანიას სრულებით არ ვამსგავსებთ ს—ნს, ძათში დიდი განსხვავება არის და ბევრი რამ სარგებლობის მოტანა შეუძლია ბ. ქორდანიას მამელისთვის, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს, რაც არ ეთანხმება სიმართლეს ჯ ჭეშმარიტ მოსაზრებას, როდესაც კაცის სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავებას ვხედავთ, არ შეგვიძლია არ გავაფრთხილოთ ყველანი.

სოფლის მღვდელი.

ჰედაგოგიკის ისტორიიდგან.

(გაგრძელება *)

3) ეგვიპტეში. ეგვიპტეში არსებობდა ხალხის 4 წოდება. 1-ს წოდებას შეადგენდნენ—ქურუმები, მეორეს—მხედრები და დანარჩენს 2-ს წოდებას—მუშა ხალხი.

ეგვიპტელები საზოგადოდ მოყვარულნი იყვნენ თავის წარსულისა და აწმყოში ზომიერს ცხოვრებას მის დევდნენ. ქალებს ეგვიპტეში დიდი უფლებანი ჰქონდათ მინიჭებული. მრავალცოლიანობა იქ აღკრძალული იყო. საკმაო იყო ქალის ერთი სიტყვა, რომ კაცს რაიმე უწესოებისთვის თავი დაენებებია. მდაბალი ხალხი იქ მოკლებული იყო სწავლა-განათლებას და ცხოვრებაში უმეცრებით ძლიერ იტანჯებოდა. თუმცა ქალაქთ: თიებში, მემფისში და ილიოპოლში სკოლები არსებობდნენ, მაგრამ მათში მხოლოდ ქურუმების და მხედრების შვილები სწავლობდნენ. მასწავლებლებად ქურუმები იყვნენ. ამ სკოლებში შაგირდები 2 ნაწილად იყოფოდნენ. პირველს ნაწილს შეადგენდნენ მხედრის შვილები, რომლებსაც ერქვათ «ექსოტერიკები». ექსოტერიკები უმაღლესის სწავლა-განათლების მისაღებად არ ემზადებოდნენ. მეორე ნაწილს შეადგენდნენ ქურუმების შვილები, რომელთაც ერქვათ „ეზოტერიკები“ და რომელნიც უმაღლესს განათლებას იღებდნენ. სკოლებში ასწავლიდნენ: ენათ-ცოდნას, ზოგადს მათემატიკას (общая математика), გეომეტრიას, ვარსკვლავთ მრიცხველობას, ბუნების-მეტყველებას, მუზიკას და სალმრთო სჯულსა.

ქურუმები იყვნენ განათლებული პირები. იმათ ეჭირათ ხელში უმაღლესნი თანამდებობანი სახელმწიფოში და დიდი გავლენა ჰქონდათ მეფეებზედ. ამიტომ დიდი ყურადღება იყო მიქცეული მათი შვილების აღზრდაზედ

კითხვას შაგირდები ეგვიპტეში ერთხმად სწავლობდნენ. წერას კი—პაპირუსის ქალალდზედ. სწერდნენ შავი და ან წითელი მელნით. შაგირდებს აძლევდნენ უბრალო საჭმელს და აჩვევდნენ საზოგადოდ ზომიერობას ცხოვრებაში.

*) იხ. «მწყემსი» № 17, 1892 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სპარსეთში. 560 წელს ქრისტეს წინ მეფე კეირუსმა დაარსა სპარსეთის სახელმწიფო, რომელიც ერთს დროს ძლიერს სახელმწიფოდ ითვლებოდა. სპარსეთი აღვიარებდა ზოროასტრის სარწმუნოებას, რომელიც ასწავლიდა ორი ერთიერთმანერთის მეტოქე, მომტრე ღმერთის არსებობას. ღრმუზდი («აგურამაზდა»), ღმერთი კეთილისა დასაბამიდგან ებრძვის ღმერთს ბოროტისას, არიმანს («აგრამანიუსს»). თითოეული მართლ. მორწმუნე სპარსი ზნეობით ვალდებულია შეელოდეს ორმუზდს არიმანთან ყოველდღიურს საუკუნო ბრძოლაში, რომელიც არიმანის დამარცხებით გათავდება. მოვა დრო, როცა გამეფდება ორმუზი და დამყარდება კეთილი; ბოროტის ხსენება კი სამუდამოდ განქარდება. თვით სარწმუნოება ზოროასტრისა მორწმუნეთაგან ღვაწლის, მოქმედების სიყვარულს თხოულობდა. ეს სარწმუნოება მტკიცე შეურყეველის კავშირით აერთებდა სპარსეთის ერსა, რომელიც თავის თავს ერთს დამოუკიდებელს ერად გრძნობდა. ერთობის გრძნობამ სპარსეთი პოლიტიკურად გააძლიერა. სპარსებმა თავისი ბატონობა გაავრცელეს თითქმის ნახევარს აზიაში და მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინ იარაღი ევროპაშიაც გადაიტანეს, სადაც პირველ ხანს შიშის თავზარი დასცეს დიდებულს საბერძნეთსა, რომელმაც ბოლოს სძლია ისინი და თავის მიწა-წყლიდგან გარეკა (479 წ. ქრ. წინ).

ცხენი და იარაღი, ომი და საგმირო საქმეები— აი მოწოდება ძველი სპარსისა, აი ის იდეალი, რომლის განხორციელებას იგი ელტოდა სიცოცხლეში. ამ მოწოდების, ამ იდეალის თანახმად იზრდებოდა სპარსეთის ახალ-თაობა.

7 წლამდის ბავშვი მშობლების სახლში იმყოფებოდა. დაბადებისთანავე ბავშვს საპნით დაბანდნენ და დაალევინებდნენ სხეულის გასამაგრებელს სასმელს. ვარსკვლავთ მრიცხველი ანუ მოგვი მის მომავალს ბედს წინდაწინ განსაზღვრავდა და არქმევდა რომელიმე კეთილი ანგელოზის («ამშასპანდი»-ს) და ან შესანიშნავი გმირთაგანის სახელსა. 5-ს წლამდი ბავშვი პასუხს არ აგებდა, უკეთუ რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა. 7 წლამდის მშობლები სცდილობდნენ აღეზარდათ ბავშვი ფიზიკურად და ზნეობრივად. ბავშვის ნორჩს გულში მშობლებს უნდა ჩაენერგათ გრძნობა სირცხვილ-ნამუსიანობისა; დიდად აფასებდნენ სპარსეთში აგრეთვე ბავშვის გულში დედისადმი ცხოველი სიყვარულის განვითარებას. რაიმე დანაშაულობის ჩადენისთვის ბავშვის ცემა, გალახვა სასტიკად აღკრძალული იყო. ბავშვის სათუთი სხეული თხოვილობს სიმტკიცესა, რომლის შერყევა შეუძლია მის ცემით დასჯასა. ბავშვი უმეტეს ნაწილად არაა დანაშაული თავის სიცუდეში. ფრიად დანაშაულნი არიან ის მშობლები, რომელნიც ბავშვს უყურადღებოდ სტოვებენ და არ წინაუსწრობენ მისგან რაიმე დანაშაულობის ჩადენასა. მუყიათს მშობლებს შეუძლიათ არ დაუშვან ბავშვის ნება სიცუდემდის. თუ ბავშვი რაიმე დანაშაულობას ჩაიდენს, მშობლებმა უნდა დაუწუნონ მას ცუდი საქციელი და სიტკბოებით უთხრან მას: «ეს ამას იქით აღარა ჰქნაო!» ტკბილს მშობლიურს დარიგებას შეუძლია ათას წილად უმეტესი გაელენა იქონიოს ბავშვის ბუნებაზედ, ვინემ გაჯოხვას, ცემას.

სპარსეთის ყოველს მოზრდილს ქალაქში გამართული იყო სკოლა, რომელსაც სახელად ერქვა. „სკოლა სამართლიანობისა». 8 წლის სპარსი შედიოდა სკოლაში. სკოლაში შაგირდს მიჰქონდა უბრალო საჭმელი და ცალიერი ჭურჭელი, რომელიც თითონ უნდა აევსო წყლითა. სკოლაში შაგირდს აყვარებდნენ სიმართლეს, აჩვევდნენ ზრდილობიანობას, ასწავლიდნენ ცხენოსნობას, მშვილდ-ისრის სროლას. მასწავლებლად იყო 50 წელს გადაცილებული სპარსი, ცნობილი საზოგადოებაში კეთილი ყოფაქცევითა და მაღალ-ზნეობითა. 10 ან 15-მეტს წლამდის შაგირდს ასწავლიდნენ სალმრთო სჯულსა და ლოცვებსა. თხუთმეტის წლის სპარსი საჯაროდ წარმოსთქვამდა სარწმუნოების აღსარებასა და იძლეოდა აღთქმას იქნებოდა სიკვდილამდის ერთგული ზოროასტრის სწავლა-მოძღვრებისა. 15-დგან 25-თს წლამდის ჭაბუკი სპარსი სრულიად სტოვებდა მშობლების სახლ-კარსა და სცხოვრებდა სხვა-და-სხვა სამხედრო ბანაკებში, სადაც ის ემზადებოდა სამშობლოის სამსახურისთვის. 25 წლიდგან სპარსი სრული უფლების პატრონ მოქალაქედ ითვლებოდა და ემსახურებოდა სამშობლოსა ომიანობის და მშვიდობიანობის დროს.

სპარსეთში სწავლა-განათლების მიღების უფლება ქალებსაც ჰქონდათ მინიჭებული.

ბერძენთა ისტორიკოსი ქსენეფონტე აი როგორ გვიხატავს უთავერესს ხასიათს სპარსული სწავლა-აღზრდისას. სპანი ისე სცდილობენ აღეზარდათ

ახალთაობა, რომ მას ბავშვობიდგანვე შეძულებოდა სიცუდე და შეყვარებოდა კეთილი და სიმართლე. ცუდი აღზრდა—სპარსთა აზრით—ამახინჯებს ბავშვის ბუნებას და აჩვევს მას სიცუდესა. ცუდი აღზრდაა კაცისგან სხვა-და-სხვა დანაშაულობის ჩადენის მიზეზი. ამიტომ საჭიროა ბავშვის ნორჩმა ბუნებამ პირველს წლებიდგანვე შეისისხლხორცოს სიყვარული კეთილისა და სიმართლისა.

იქ, სადაც არსებობდა სკოლა—ქსენოფონტეს სიტყვით—იყო «თავისუფალი მოედანი» 4 ნაწილად დაყოფილი, მდებარე სასამართლოს ახლოს. პირველი ნაწილი იყო დანიშნული ბავშვებისთვის, მეორე—ჭაბუკთათვის, მესამე—ვაჟკაცებისთვის და მეოთხე—მოხუცთათვის. აი ამ მოედანზედ ბავშვები და ჭაბუკები უნდა მოსულიყვნენ დილით ადრე. მოხუცებულებს შეეძლოთ ცოტა გვიან მოსულიყვნენ. თითოეულს ნაწილს მოედნისას ჰყავდა თავისი საკუთარი მასწავლებელი. ბავშვების მასწავლებელს უნდა ჰქონოდა სწავლების ნიჭი; ჭაბუკებისთვის მასწავლებელს უნდა ჩაენერგა სიყვარული კეთილ-სათნოებისა. ხელმძღვანელი ვაჟკაცებისა და მოხუცთა თვალ-ყურს ადევნებდა, რომ არავის მათგანს არ დაერღვია სახელმწიფო კანონები და დაწესებულებანი. ამ მოედანზედ ბავშვები და ჭაბუკები დროს ატარებდნენ ფიზიკურს ვარჯიშობაში, ეჩვეოდნენ სიცხის, სიცივის შიმშილის და წყურვილის ატანას. აქვე აყვარებდნენ მათ სამართლიანობას და მადლობის გრძნობას სპარსელების აზრით გრძნობა უმადურობისა ძალიან დიდი ნაკლულევანებაა: უმადურებს არ შეუძლიათ შეიყვარონ ღმერთი და მშობლები. გრძნობა უმადურობისა შეერთებულია უნამუსობის გრძნობასთან, და უნამუსობა კი წყაროა ყოველი ბიწიერებისა. ამავე მოედანზედ აღმზრდელები დამნაშავე შაგირდებს ასამართლებდნენ. სასჯელი დამნაშავე შაგირდისთვის ძისვე ამხანაგს უნდა გადაეწყვიტა, ასე რომ თითოეულს შაგირდს წელიწადში რამდენჯერმე შეხვდებოდა რიგით თავისი ამხანაგების მსაჯულად ყოფნა. ჭაბუკნი ვალდებულნი იყვნენ გაეთიათ ღამე მოედანზედ და ქალაქისთვის ედარაჯებიათ. შაგირდები იყვნენ ვალდებულნი ჰყვარებოდათ აღმზრდელ-მასწავლებელი და მათ დამორჩილებოდნენ. აგრეთვე ვალდებული იყო ახალთაობა მოხუცთათვის და საზოგადოდ წლოვანებით უფროსი პირებისთვის პატივი ეცათ.

სპარსეთმა დაიმორჩილა მრავალი ხალხი მთელს წინააზიის მხარეში. დამორჩილებულს ხალხებს სპარსნი სასტიკად ეპყრობოდნენ, სცდილობდნენ რა მათს გადაგვარებას, მათის ენის და სჯულის განადგურებას. მტაცებლობით და ძალა-მრეობით შეძენილმა სიმდიდრემ წაბილწა სპარსეთის რაინდული კეთილ-ზნეობა, შეაჩვია ისინი უზრუნველს ყოფა-ცხოვრებას და ფუფუნებას. ზნეობის დაცემასთან ერთად დაეცა სპარსთა ეროვნული გრძნობაც. დამორჩილებული ხალხები თავისი, მხრით ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ როგორმე გათავისუფლებულიყვნენ მათის ბატონობისგან და მოეპოვებიათ დამოუკიდებელი არსებობა. ყოველივე ამან სპარსეთი ძალიან დაასუსტა პოლიტიკურად მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ. ალექსანდრე მაკედონელმა 330 წელს დაიმორჩილა ერთს დროს ძლიერი სპარსეთის სახელმწიფო, აღმენებული უსამართლოებაზედ. ამის შემდეგ დაეცა სპარსეთში ბავშვთა აღზრდის საქმეც.

ილ. ფერაძე.

კულაშიდამ*).

(დასასრული).

სიყვარულს და სასოებას ამ ქვისადმი იანეთლები ხატავდნენ იმით, რომ ისინი ყოველ წლობით, ახალ კვირის მეორე დღეს, იკრიბებოდნენ ამ ქვის მახლობლად, სწირავდნენ მას ფულს, სამთელს, ფრინველებს და ცხოველებს. შეწირულებას ჩამოართმევდნენ «ხატის კაცები», დააჩოქებდენ შემომწირველთა ქვის წინაშე და წარმოსთქვამდნენ შემდეგ ლოცვას: «ძალ კვირა დიდებულო, წმიდა სტეფანე! კარგად ამყოფე, შეიწირე მათი ლოცვა, შენი ვალდებულება მოგართვა და სხვა». ხალხშია მოთხრობა, რომ ვითომც წმ. სტეფანე უნდა ყოფილიყოს ამ ქვის მფარველი და მიზეზი მისი სასწაულებრივი მოქმედებისა. ლოცვის გათავების შემდეგ დასხდებოდნენ და დიდ ლხინს გამართავდნენ. როგორც გარდმომცა ერთმა მღვდელთაგანმა ამ ლხინისათვის იანეთლებს ეხარჯებოდათ არა ნაკლებ 500 მანეთისა ყოველ წლობით. ლხინის შემდეგ თუ ვისმეს რაიმე მტეროება ჰქონდა

*) იხ. „მწყემსი"-ს № 19.

ვისთანმე, ქვაზე გადაცემდა, ე. ი. დასწყეველიდა, რასაც ამტკიცებენ ბევრი ლურსმნები, გაბნეული ამ ქვის ძირშიდ. აი გასაოცარი ლეგენდარული მოთხრობა აღნიშნული ქვის შესახებ და სამარცხვინო მოქმედება მის მსახურთა! ყველას სამწუხაროდ უნდა მიგვაჩნდეს ამისთანა კერპული მოქმედება იანეთის მკვიდრთა მხრით და მათზედ ჩვენი მხრით მწყემსური არა გაელენა. სამწუხაროდ მიმაჩნია პირადათ ჩემთვის, რომ ჩვენ პოლიტიკური ზომები დაგვჭირდა ქვის აღებისათვის და ვერ მივაღწიეთ იმ ზომამდის, რომ იანეთლებს ჩვენი მწყემსური დარიგების შემდეგ შეეგნოთ თავისი უმსგავსო და კერპული მოქმედება; არამც თუ შეიგნეს, ბაწარიც არ გვათხოვეს დამტვერეული ურმის გასამაგრებლად და არც ბარი გვათხოვეს მიწის ამოსათხრელად. აქედამ სჩანს, რომ ქვის სიყვარული იმოდენათ გამჯდარი ქონიათ იანეთლებს ძველ-რბილშიდ, რომ მთელი რუსეთის სახელმწიფოს საუკეთესო მქადაგებელთა დასი რომ შეგროვილიყვნენ ს. იანეთში და ხანგრძლივი ქადაგება გაემართათ, იანეთლები მაინც დარჩებოდნენ შეურყეველნი თავიანთ ცრუმორწმუნეობაშიდ და კერპთმსახურებაშიდ. ჩემის აზრით, უმთავრესი მიზეზი ამ ქვის არსებობისა ს. იანეთშიდ და იანეთლების თავგანწირული სიყვარულისა ამ ქვისადმი, ყოფილა ძველი, აწ უკვე განსვენებული სამღვდელო პირნი ყუფარაძე და კოპალეიშვილი. ნუ თუ მართლა, როდესაც მოძღვარი —სანთელი და წინამძღვარი სამრეველოისა ავრცელებს ხმას, ვითომც მას დაესიზრმაწმ. სტეფანე, ამტკიცებს სასწაულებრივ მოქმედებას უბრალო ქვისას. ამისთანა მოქმედებით მღვდელი ხშავს ნაპერწკალს კეთილ-სარწმუნეობისას თავის სამწყსოშიდ, აცდენს მას ჭეშმარიტ გზას. ნუ თუ საკმაო არ იყო იანეთლებისათვის, როდესაც მათი მოძღვარი ყუფარაძე მისულა მუხლ-მოდრეკით ქვის წინაშე, შეუწირავს მისთვის 5 მანეთი და ბოდიში მოუხდია მისი შეურაცხყოფისათვის. რასაკვირველია, ძველნი მოძღვარნი არიან დამნაშავენი, რომ იანეთლებს ასე ღრმად გაჯდომიათ გულში ამ ქვის სიყვარული. ყველამ იცის, თუ რა დიდი კავშირი და სიყვარული სუფევდა ძველ დროშიდ მოძღვართა და სამრეველოთა შორის. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ მე მსურს ამით ძველი მღვდლების ღირსების დამცირება. სრულიადაც არა. ძველი მღვდლები საზოგადოდ ცნობილნი არიან, როგორც მწიგნობარნი, კარგი მწირველნი და მლოცველნი და მტკიცედ აღმასრულებელნი თავიანთი მოვალეობისა, მაგრამ პირუთვნელად ვიტყვი, რომ ბევრს შემთხვევაშიდ ზოგიერთი მათგანი არიან მიმდევარნი ძველ ჩვეულებათა და ცრუ-მორწმუნეობათა, რომელნიც ეღობებიან წინ ჭეშმარიტ სარწმუნოების მსვლელობას. დრო არის სამღვდელოებამ გამოიფხიზლოს და ყურადღება მიაქციოს სამრეველოთა სარწმუნოებრივ სიბნელეს და თვითონაც უარჰყოს ის, რაც ხელს უშლის სარწმუნოების წარმატებას. მამაო რედაქტორო! ვინაიდგან თქვენი გაზეთი არის ერთად ერთი ორგანო, რომლის საშუალებით არა ერთხელ გამოაშკარებულა ყოველგვარი ხალხის ცრუ-მორწმუნეობანი, ვინაიდგან თქვენი ორგანოს საშუალებით სამღვდელოება ღებულობს სულიერ საზრდოს საბრძოლველად სარწმუნოების შემარყეველ კერპულ მოქმედების წინააღმდეგ, ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემ მცირე შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელ №-შიდ.

ბლაღ. მღვ. ერმ. კანდელაკი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტით დაინიშნა მიტროპოლიტად ს.-პეტერბურგისა და უწმ. სინოდის თავსმჯდომარედ. მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა წაბრძანდება პეტერბურღში ნოემბრის პირველ რიცხვებში.

***

საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა სამარის ეპისკოპოსი ელადიმირი. მისმა ყოვლად უსამღვდელოესმა ელადიმირმა 1874 წ. სწავლა დაამთავრა კიევისსა სულიერო აკადემიაში, 1882 წ. აკურთხეს მღვდლად, 1885 წ. მღვდელ მონოზონად აღიკვეცა და არქიმანდრიტობა ებოძა. 1888 წ. ეკურთხა სტაროორუსას ეპისკოპოსად და 1891 წ. სამარის მთავარ-ეპისკოპოსად.

***

ჩვენ მივიღეთ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან მისგანვე შედგენილი პატარა წიგნაკი ასპინძის ომი. წიგნი მშვენიერად არის გამოცემული და არა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზრდილ ყრმათათვის, არამედ ყველა ქართველთათვის საინტერესო წასაკითხავია.

* *
*

ქუთაისში რამდენიმე შაგირდი გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, ხოლერითო. ყელჭირვება მაინც ძლიერ არის მოდებული საზოგადოდ.

* *
*

ქუთაისის ფრანგებს, ამბობენ, რომის პაპიდამ ბრძანება მოუვიდათ, რომ ამიერითგან ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა და საიდუმლოები არ იქმნეს შესრულებულიო. ხალხი ძლიერ შეწუხებულია ამ ამბით და უკვირსთ, თუ რად მოეველინა ქართულს ენას ეს უბედურება. მოხუცებული კაცები ამას იმით ხსნიან, რომ ამ ხერხით სარწმუნოება უნდათ დაამხონ ურწმუნოებმაო.

* *
*

მღვდლის მოსე შავგულიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ „მწყემს"-ში ამ ორიოდე სიტყვას: რწმუნებულს ჩემდამო ზემოქვეტირის მთავარ-ანგელოზთ ეკკლესიას ჩემმა მრევლთაგანმა, ვლადიკავკასში მოვაჭრემ ონისიმე ლაზარეს ძე შავგულიძემ 1887 წელში შემოსწირა 1 წყვილი დიდი შანდლები, ღირებულნი 30 მანეთად, და ამა 1892 წელში შემოწირული მის მიერვე ივლისის თთვეშიდ მივიღე ხარკოვიდგან გამოგზავნილი ერთი ფრაქის ღესტრა, 1 წყვილი მაცხოვრის და ღვთისმშობლის წინ დასადგმელი დიდი მაღალი შანდლები თავის ლამპრებითა, და 1 წყვილი შანდლები ტრაპეზზედ დასადგმელი ოქროშიდ დაფერილნი, ღირებულნი 120 მან. რისთვისაც ჩემი მრევლი დიდს მადლობას სწირავს ონისიმე შავგულიძეს ესრეთის შემოწირულებისათვის.

წესდება

იმერეთის ეპარქიის სამდვდელოების ემერიტალური კასისა.

(დასასრული *)

§ 32. ვინც საწევრო გადასახადს აგზავნის კასაში არა ნაკლებ 25 წლისა, ის, შემდეგ სამსახურიდგან გადადგომისა, ანუ მისი ცოლშვილი შემდეგ მისი სიკვდილისა, ღებულობს კასიდგან სრულს პენსიას; ხოლო ვისაც ფული უგზავნია კასაში 5 წელიწადს—ღებულობს პენსიის $^1/_5$, 10 წელიწადს — $^2/_5$, 15 წ. $^3/_5$ და 20 წ. $^4/_5$.

§ 33. უკეთუ კამისია, რომელიც, თანახმად ამ წესდების 9 §-სა, ყოველ 10 წლის გასულს ამოწმებს კასის მდგომარეობას, საჭიროდ და შესაძლოდ დაინახავს პენსიის გადიდებას, იმ შემთხვევაში ამაზე საჭიროა ნებართვა კასის მონაწილეთა დეპუტატთა საზოგადო კრებისა და დამტკიცება ადგილობითი ეპარქიალური მთავრობისა.

§ 34. კასის მონაწილენი, აგრეთვე მათი ქვრივნი, ღებულობენ ხვედრ პენსიას მთელს თავის სიცოცხლეში; ობოლნი მათნი კი ორივე სქესნი—სრულ წლოვანებამდის (21 წლ.); ამასთან ობოლთა, ამ ვადის შემდეგაც, შეიძლება მიეცეს ერთ დროებითი შემწეობა კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრების შეხედულებითა და გადაწყვეტილებით, რაიცა არის დამოკიდებული მაზე, თუ როგორი შეძლება აქვს კასას, რამდენი ფული შამოუტანია ობოლთა მამას და რამდენი გაუტანია მათ მშობლებს და თვით მათ პენსიათ.

§ 35. მცირე წლოვან ობოლთა ეძლევათ იმნაირი პენსია, რანაირიც ერგებოდა მათ მშობლებს და მხოლოდ იმ დროიდგან, როდესაც იგინი რჩებიან უდედოთაც ამ უკანასკნელის სიკვდილისა ანუ გათხოვებისა გამო.

§ 36. პენსიას აძლევენ ბლაღოჩინები ნახევარ-ნახევარ წლობით წინდაწინ მაისში და ნოემბერში შეკრებილის მათ მიერ კასაში წარმოსადგენი ფულებიდგან იმ პენსიონერებს და მათ ოჯახებს, რომლებ-

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-19 № 1892 წ.

ზედაც უჩვენებს მათ კასის გამგეობა და რომელთა აქვსთ საპენსიო წიგნაკი. ბლალოჩინს შეუძლია გამოითხოვოს პენსიის ფული კასიდგანაც, უკეთუ პენსიისათვის არ იკმარეს მის მიერ შეკრებილი ფული. საეროთაგან პენსიონერებს შეუძლიათ თავიანთი პენსია აღნიშნულ ვადებზე მიიღონ კასის ხაზინადრისაგანაც, რომელსაც ამისათვის მიუცილებლად უდგენენ საპენსიო წიგნაკს.

§ 37. სამსახურში მყოფობის დროს ემერიტალური კასიდგან პენსიას ვერვინ ვერ მიიღებს.

§ 38. პენსიის დანიშვნის დროს კაპეიკის ნაწილები $^1/_2$, $^1/_3$, $^1/_4$ და სხ. პენსიას არ ემატება, არამედ რჩება კასას.

თ ა ვ ი V.

კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებანი.

§ 39. ემერიტალური კასის საქმეებს განაგებენ, ეპარქიალური მთავრობის მხედველობის ქვეშე, ა) კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებანი და ბ) გამგეობა ამავე კასისა.

§ 40. კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრება ინიშნება ადგილობითი მღვდელ-მთავრის განკარგულებით, ან ყოველ წლივ, თუ ყოველ წლობით ხდება სასულიერო სასწავლებლისათვის კრება, ან მიუცილებლად, 3 წელიწადში ერთხელ; განსაკუთრებითი კასის საჭიროებისათვის კი—ყოველს დროს.

§ 41. კასის მონაწილეთა ერთი, ანუ ორი თვეით ადრე, ქართულ გაზეთების და ბლალოჩინების შემწეობით, ეძლევათ ცნობა მაზე, თუ სად, როდის და რა საგნისათვის ხდება ჩვეულებრივი მათ დეპუტატთა კრება.

§ 42. საზოგადო კრებებში მიიღებენ მონაწილეობას არა ყველა კასის მონაწილენი, არამედ მათ მიერ აღრჩეულნი ვექილნი, ანუ დეპუტატები.

§ 43. საზოგადო კრება საქმეების განხილვისა და კამათობის დროს წესიერების დასაცველად, თავდაპირველად კენჭის ყრით ირჩევს თავმჯდომარეს იქვე მყოფ დეკანოზთა, ანუ მღვდელთაგან.

§ 44. კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრების გასარჩევი და გადასაწყვეტი საქმენი არიან შემდეგნი:

ა) ემერიტალური კასის გამგეობის ოთხ წევრთა და მათ ორ თანაშემწეთა (კანდიდატთა) აღრჩევა.

ბ) კასის წლიური ანგარიშის განხილვა.

გ) კასის თანხის და ყოველგვარი საბუთების და გამგეობის მოქმედებათა შემმოწმებლების დანიშვნა.

დ) კასის მონაწილეთა სრულ წლოვან ობოლთა შემწეობის დანიშვნა.

ე) მიღება კასის მონაწილეთ სხვა ეპარქიის სასულიერო უწყებაში მოსამსახურე პირთა.

ვ) განხილვა და ახსნა ისეთ შემთხვევათა, რომლებიც კასის გამგეობისათვის ცხადათ არ არიან ახსნილნი და გამოკვეულნი ამ წესდებაში.

ზ) ამ წესდების რომელიმე მუხლის შეცვლა და დამატება

და ᲗᲘ) დანიშვნა კამისიისა თანახმად ამა წესდების § 9-ისა.

§ 45. საზოგადო დეპუტატთა კრებაში საქმე, გარდა ამ წესდების შეცვლისა და დამატებისა, წყდება და თავდება ხმის უმეტესობით. ხმათა შუაზედ უმეტნაკლებოდ გაყოფის დროს კი სძლევს ის მხარე, რომელშიდაც ურევია თავსმჯდომარე.

§ 46. საზოგადო დეპუტატთა კრებას არ აქვს უფლება განიხილოს ამ წესდების მუხლთა შეცვლა, ანუ დამატება, უკეთუ წინდაწინ კასის მონაწილეთ გამოცხადებული და აღსნილი არა აქვსთ, თუ სახელდობ რა უნდა შეიცვალოს ანუ დაემატოს და როგორ; ამგვარი მუხლთა შეცვლა გადაწყდება მხოლოდ კრების წევრთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით; ეს გადაწყვეტილება უდგინდება განსახილველად და დასამტკიცებელად ეპარქიალურ მთავრობას და მის დამტკიცების შემდეგ შედის ძალასა და მოქმედებაში.

§ 47. საზოგადო დეპუტატთა კრება მოვალეა დიდ მნიშვნელოვანი საქმეები, თავსმჯდომარეს პირით, მოახსენოს ადგილობითი მღვდელ-მთავარს და გამოითხოვოს მისგან საქმის ახსნა და მღვდელ-მთავრული რჩევა სახელმძღვანელოდ საქმის გადაწყვეტის დროს.

თ ა ვ ი VI.

ემერიტალური კასის გამგეობა.

§ 48. ემერიტალური კასის გამგეობა შედგება ოთხი წევრისაგან და ორი მათი თანაშემწისაგან (კანდიდატისაგან), რომელთაც ირჩევს დეპუტატების სა-

ზოგადო კრება ეპარქიალურ ქალაქში მცხოვრებთ კასის მონაწილეთაგან და ამტკიცებს ადგილობითი მღვდელ-მთავარი.

§ 49. არჩევა ხსენებული წევრებისა და მათი თანა შემწეებისა ხდება საზოგადო დეპუტატთა კრებაზე ხმის უმეტესობით, რაიცა გამოიხატება კენჭის ყრით. ამავე წესით ინიშნებიან კასის თანხის და გამგეობის ნაწარმოები საბუთების შემმოწმებლებიც.

§ 50. დეპუტატთა საზოგადო კრებისაგან აღრჩეულ პირთა არ აქვსთ ნება ჰყონ უარი ამა აღრჩევას ყველასაგან ცნობილ და პატივსადებ მიზეზ გარეშე; წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი ჯარიმათ იხდიან კასის სასარგებლოდ ერთი წლის მათ მიერ შემოსატან ფულს; მაგრამ ვისაც ერთხელ დეპუტატთა საზოგადო კრების არჩევით კასისათვის უმსახურია, მას შეუძლია მეორე არჩევაზე უარი სთქვას და ამისათვის არ იხდის არაფითარ ჯარიმას.

§ 51. კასის ერთი გამგეობის წევრთაგანი ინიშნება გამგეობის თავმჯდომარედ, მეორე საქმისმწარმოებლად, მესამე ხაზინადრად და მეოთხე უბრალო გამგეობის წევრად.

§ 52. ვინაიდგან უმთავრესი ნაწილი კასის საქმეთა და წიგნების წარმოებისა სავალდებულოა გამგეობის საქმის-მწარმოებლის და ხაზინადრისათვის, ამისათვის მარტო ამათ მიეცემა ჯამაგირი: საქმისმწარმოებელს წელიწადში 20 მ. და ხაზინადარს 150 მან.; თავმჯდომარე გამგეობისა და მეოთხე წევრი კი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას უსასყიდლოთ.

§ 53. გამგეობას ეძლევა ერთი მწერალი და მის ჯამაგირათ ასი მანეთი; აგრეთვე კანცელარის სხვა-და-სხვა ხარჯებისათვის ყოველ წლობით ასი მანეთი.

§ 54. კასის გამგეობის სხდომებზედ შეუძლიათ დაესწრონ ამ გამგეობის წევრების თანაშემწენიც (კანდიდატები), რათა შეისწავლონ გამგეობის წესი და საქმეთა წარმოება; მათ ეძლევათ მხოლოდ ნება მაზე, რომ საქმის განხილვის დროს წარმოსთქვან თავიანთი ჰაზრი და რჩევა, გარდაწყვეტა საქმისა კი მათ ხმაზედ არ არის დამოკიდებული; წევრის ავადმყოფობის, ან სხვაგან წასვლის დროს, მის მაგიერობას ასრულებს მისი თანაშემწე (კანდიდატი).

§ 55. კასის გამგეობის წევრები ირჩევიან სამი წლით, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგაც შესაძლოა მათი მეორედ ამორჩევა, უკეთუ თვით ისინი არ განაცხადებენ ამაზე უარს.

§ 56. კასის გამგეობის სხდომებისათვის გადადებულია ის ოთახი იმერეთის საეპარქიო კანცელარიის შენობისა, რომელიც უჭირავს იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქერიეთა და ობოლთა სამზრუნველოს, რადგან ადგილობითი სასულიერო უწყებას არსად არა აქვს სხვა თავისუფალი შენობა.

§ 57. გამგეობაში საქმეები წყდებიან ხმის უმეტესობით.

§ 58. კასის გამგეობის მოვალეობას შეადგენენ:

ა) ზრუნველობა კასის შემოსავალზედ და მის ანგარიშზედ;

ბ) მეცადინეობა ფულის უშიშარ ალაგს შენახვაზედ.

გ) გადაწყვეტა იმისა, თუ ვის აქვს უფლება პენსიის მიღებისა და ვის რამდენი პენსია ერგება, აგრეთვე დაბრუნება ფულებისა მათთვის, ვისაც, თანახმად წესდებისა, არ დაუმსახურნია პენსიაზე უფლება.

დ) ყურადღება ხარჯების კანონიერად წარმოებაზე და ყოველგვარი ანგარიში ამა ხარჯებისა;

ე) შედგენა ყოველ წლის გასულს წლიური ანგარიშისა კასის შემოსავალზე, გასავალზე და გადანარჩენ ფულზე; აგრეთვე კასის მთელი თანხის მდგომარეობაზედ, მოგებასა და წაგებაზედ, პენსიონერების რიცხვზე და მათი პენსიის მიცემაზე;

და ვ) კასის მონაწილეთა შეტყობინება დეპუტატთა საზოგადო კრების ადგილისა, დროსა და კასარჩევი საგნებისა.

§ 59. გამგეობა კასისა აწარმოებს შემდეგ საბუთებს:

ა) ყველა კასის მონაწილეთა სიას, რომელშიდაც ინიშნება რაოდენობა შემოტანილი ფულისა, დრო, საიდანაც დაიწყო ფულის შემოტანა, აგრეთვე ყოველგვარი ცვლილებანი კასის მონაწილეთა კასასთან დამოკიდებულებაში; ბ) სიებს კასის მიცვალებულ მონაწილეთა და პენსიონერებისა; გ) სიას პენსიონერებისას, თვით პენსიის რაოდენობისა და დანიშვნის დროს აღნიშვნითა. სია ესე დგება ყოველი წლის დასაწყისს და მაში იწერებიან ყველა წარსული წლის ცოცხალი პენსიონერები და შემდეგ ემატება ახალი პენსიონერები მთელი წლის განმავალობაში; დ) შესავალ-გასავლის წიგნს, რომელშიდაც შემოსავალში იწერება ყოველგვარი შემოსავალი ცალ-ცალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლებში და ამგვარათვე გასავალში ყოველივე გასავალი ბილეთით, თუ ნაღდი ფულით; ე) უწყებას მთავარ თანხაზე, სარგებლიანი ბანკის ქაღალდების ღირსებისა და №№ ჩვენებით, აგრეთვე იმა კვიტანციის №№-ისა, რომლითაც იგინი ინახებიან სახელმწიფო ბანკებში; ვ) საქმეების სიას და ასოებითი მაჩვენებელს; ზ) შემოსავალ და გასავალ ქაღალდების ჩასაწერ წიგნებს. თვით ქაღალდების შინაარსის მოკლე ჩვენებით; ᲗᲘ) საღეჭურნო წიგნს და კანვერტების ჩასაწერ წიგნს. ყველა ეს საბუთები, გარდა საქმეთა სიისა და ასოებითი მაჩვენებელისა, უნდა იქმნენ გადანომრილი, ზონარ გაყრილი ბეჭდითურთ და ხელმოწერილი კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრების თავმჯდომარესაგან და ინახებოდენ კასის გამგეობის კანცელარიაში.

§ 60. ქაღალდებს და კონვერტებს ღებულობს კასის გამგეობის თავმჯდომარე, ანუ საქმისმწარმოებელი, რომლებიც მათზედვე ნიშნენ მიღების დროს, გამგეობიდგან გასაგზან ქაღალდებს აწერენ ხელს გამგეობის თავმჯდომარე და საქმისმწარმოებელი; ხოლო ოდესაც ესენი არ იმყოფებიან, მათ მაგიერ, ერთი წევრთაგანი და მწერალი.

§ 61. კასის გამგეობაში მთელი მიწერ-მოწერა უნდა სრულდებოდეს, რაც შეიძლება, მოკლედ და ნამეტანი ფორმის მიუდევნელად.

თ ა ვ ი VII.

ემერიტალური კასის თანხის შენახვა.

§ 62. ყველა კასაში შემოსული ფული მიიღება ხაზინადრისაგან და, შემდეგ შესავალ-გასავლის წიგნში ჩაწერისა, ინახება ფულთ საცავში, რომელიც ამგვარ მიზნისათვის განსაკუთრებითი სიმაგრით არის მიშენებული ადგილობითი ეპარქიალურ კანცელარიაზე.

§ 63. ყოველგვარი შემოსავალი კასისა ჰენსიების დანიშენამდის აგრეთვე შემდეკში ხარჯებზე გადანარჩენი ფული დაუყონებლივ იგზანება სახელმწიფო ბანკებში და ხაზინებში სასყიდლათ 5% ანუ მეტი სარგებლიანი ბილეთებისა, რომელთა ამორჩევა და განსაზღვრა დამოკიდებულია კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებაზე.

§ 64. ბანკებისაგან გამოგზავნილი ანგარიშის ფურცლები ნაყიდ სარგებლიან ბილეთებზე უნდა ინახებოდეს ერთად ბირჟების დავთრებთან, სადაც აღნიშნულია ბილეთების ნამდვილი ფასი.

§ 65. ყველა სარგებლიანი ბანკს ქაღალდები უნდა იქმნეს გამოტანილი იმერეთის სამღვდელოებათა ემერიტალურ კასის სახელზე და მოთავსებულნი სახელმწიფო ბანკის ან მის განყოფილების ფულთ საცავში.

§ 66. ნაღდი ფული არაოდეს არ უნდა იქნეს ადგილობით ფულთ საცავში მეტი მაზე, რაც საჭირო არ არის უმახლობელესი ხარჯებისათვის. უკეთუ კასას ერთი თვის განმავლობაში მაინც არავითარი ხარჯები არ მოელის, იმ შემთხვევაში, რაც მაში ფული შამოვა, დაუყონებლივ უნდა გაიგზანოს შესანახათ ქუთაისის სახელგწიფო დამცველ კასაში.

§ 67. როგორც ნაღდი ფული, ისე ბილეთები ბანკში შენახული ფულისა, კასის გამგეობის ყველა წევრებისაგან ხელმოწერილი წიგნითურთ, უნდა ინახებოდეს ცეცხლისაგან უვნებელ ზანდუკში, რომლის გასაღებები სხვა-და სხვანაირი ექნებათ: ერთი ხაზინადარს, და მეორე კი ბეჭდითურთ საქმისმწარმოებელს. ზანდუკი ესე უნდა ინახებოდეს ხსენებულ ფულთ საცავში.

თ ა ვ ი VIII.

შემმოწმებელნი (რევიზორები) კასისა.

§ 68. კასის გამგეობის მოქმედებათა ყოველ წლივ შესამოწმებელად დეპუტატთა საზოგადო კრება ირჩევს 3 წლის ვადით 3 კაცს შემმოწმებლებათ (რევიზორებათ). ქ. ქუთაისში ანუ ახლო სოფლებში და დაბებში მცხოვრებ კასის მონაწილეთაგან იმ წესით, როგორიც განსაზღვრულია ამა წესდების მე-50 §-ში.

§ 69. ეს შემმოწმებლები (რევიზორები), თანახმად დეპუტატთა საზოგადო კრებიდგან მიცემული წესდებისა, ამოწმებენ კასის გამგეობის ანგარიშს ყოველგვარს საბუთებთან და ნაღდ ფულთან, სინჯვენ, თვის დროზეა თუ არა ჩაწერილი წიგნებში ყველა შემოსავალი, აგრეთვე კანონიერად არის მოხმარი ხარჯები, თუ არა; ადარებენ ერთი მეორეს კასის გამგეობისაგან ნაწარმოებ წიგნებს და ათვალიერებენ მათ წესს და თვის დროზე წარმოებას. ყოველ მათ მიერ ნახულ ღირსებას და წესიერებას, ანუ ნაკლულევანებას და უწესოებას აწერენ თვით საბუთებზე.

§ 70. შემოწმებისათვის (რევიზიისათვის) ეძლევათ ვადა შემმოწმებელთ 3 თვემდის.

§ 71. შემდეგ კასის საბუთების და ფულების შემოწმების გათავებისა შემმოწმებლები ადგენენ მოხსენებითი ბარათს, რომელშიდაც სწერენ ამ შემოწმების შედეგს, და ამ ბარათს უდგენენ კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებას.

§ 72. კასის გამგეობის წევრებთან ერთად პასუხისმგებელნი არიან ამ გამგეობის მოქმედების შემმოწმებელნი მასში, რაც შეამოწმეს, უკეთუ ამ შემოწმებაში აღმოჩნდა რაიმე სიყალბე და სიცრუე.

§ 73. თუ კასის შემოწმების დროს გამგეობის რაიმე დიდი დანაშაულება და უწესოება აღმოჩნდა, იმ შემთხვევაში შემმოწმებელთ (რევიზორებს) შეუძლიათ, ამ საქმისათვის, ადგილობითი მღვდელ-მთავარის ნებადართვით, მოიწოდონ კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყველა ამ წესდებაში აღნიშნული საბუთების ფორმები გამოკვლეული და შემუშავებულია რუსულ ენაზედ ერთად ამავე ენაზედ ჩემ მიერ შედგენილი წესდებისა, რომელიც უკვე მოხსენდა იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრებას.

ერ. თუთბერიძე.

რედაქციის პასუხი.

ვ ი ნ მ ე ს. ყოველი კაცი განგიმარტებს იმ კითხვებს, რომელთა განმარტებასაც თქვენ თხოვილობთ. ვინ არ იცის, რომ ბოროტ-მოქმედებისათვის კაცი უნდა დაისჯოს, და ცუდი საქციელი ყოველთვის არავის მიეტევება? თუ მართლა აგრე გსურსთ წესიერების ჩამოგდება, მაშინ იჩივლეთ, სადაც რიგია და დამნაშავეს დასჯიან...

ბ. ჩ ე ბ ა ტ ა ო ვ ს. თქვენი ბლალოჩინის და მამასახლისის ღვაწლი სამრევლო სკოლის გახსნის შესახებ სწორედ საქებია. თქვენი კითხვა განმარტებულია „მწყემსი"-ს № 19-ში.

მღვ. თ. დუ—ძეს. სრულებით გეთანხმებით, რომ ყველამ უნდა იცოდეს სამკურნალო სწავლა. ამიტომაც ბეჭდავს „საქართველოს სასულიერო მოამბე" მიშკინის ლეკციებს წელების და სხვა შიგნეულების აგებულებაზედ. მართალია ყოველთვის არ იბეჭდება, მაგრამ როდესაც თავისუფალი ადგილი რჩება და დასაბეჭდი მასალა არ აღმოჩნდება ხოლმე, ყოველთვის უთმობენ ადგილ სამ ლექციებს.

სას. გამ. ა. ჭ—ძეს. თქვენ გაზეთი ყოველთვის გეგზავნებათ. მოიკითხეთ ფოსტაში. თქვენ ორივე გაზეთი გეგზავნებათ რუსულიც და ქართულიც და ორი მანეთი უნდა გამოგზავნოთ ამა წლისა.

ბ. ჯ — ს. თქვენგან გამოგზავნილი ლეკსი არ იბეჭდება.

განცხადება.

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება" თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება აუწყებს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი ქალაქსიში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის აღრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(15—11)

შ ი ნ ა ა რ ს ი: რამდენად გონივრული და წესიერია მეგრულს ენაზე ლიტერატურის შექმნა და თარგმნა სამეცნიერო ლიტერატურის და ლოცვებისა, რომლებიც ძველის დროიდგანვე სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე?—სამეცნიერო ტერმინოლოგიის შეგრეგისათვის საჭირო ნაბეჭდი და ხელთ ნაწერი მასალის ნუსხა.—ნწარე ფიქრები.—ჰედაგოგიკის ისტორიიდგან.—კულაშიდამ.—ახალი ამბები და შენიშვნები.—წესდება იმერეთის ეპარქიალური სამღვდელოების ემერიტალური კასისა.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 29 Октября 1892 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хананових на Нѣмецкой ул.